

ა(ა)იპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

ს/კ 204 889 488

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირია, რომელიც რეგისტრირებულია 1999 წლის 18 ოქტომბერს. საიდენტიფიკაციო ნომერია 204 889 488.

მმართველობითი ორგანოა ყრილობა და პრეზიდიუმი 12 კაცის შემადგენლობით. პრეზიდენტი გახლავთ თამაზ გეგეშიძე (პ/ნ 0 1008 002 640)

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საქმიანობა არის თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სპორტული ვარჯიშების გამართვა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება ან/და მათი ორგანიზება.

ფედერაციას **ერთადერთ** შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელიც წინასწარ დამტკიცებული სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის მიხედვით გამოყოფს ხარჯებს წინასწარ მომზადებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. იგივე დამტკიცებული კალენდრის მიხედვით თანხა შეიძლება გამოყოფილი იქნეს ოლიმპიური კომიტეტის მიერ. გახარჯული თანხის მიხედვით ფედერაცია ანგარიშგებას წარუდგენს სამინისტროს თანდართული დოკუმენტაციით თითოეული ღონისძიების მიხედვით.

იშვიათად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ შეიძლება ასევე გამოყოფილი იქნეს თანხა ზოგიერთი სპორტსმენის ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯების დასაფარად, თუკი ასეთი ხარჯები ფედერაციისათვის დამტკიცებულ სპორტულ კალენდარის ბიუჯეტში არ ზის.

ფედერაციის ადმინისტრაციის ხელფასი, ისევე როგორც კომუნალური ხარჯები, იფარება ასევე ზემოთნახსენები სპორტული კალენდრის ბიუჯეტიდან.

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გათვალისწინებულია ფედერაციისათვის საქართველოს, ევროპის, მსოფლიო ასევე ოლიმპიურ თამაშებზე საპრიზო ადგილების მოპოვებისათვის, ნაწილი თანხა კანონის მიხედვით გათვალისწინებულია თანამშრომელთა ჯილდოებისათვის, ნაწილი კი ფედერაციის საკუთრივი ხარჯებისათვის. სწორედ ამ ხარჯებით ხდება ძირითადი საშუალებების შეძენა (კომპიუტერები, ავტომანქანა) ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვა, შენობის რემონტი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად . იგი წარმოდგენილია საქართველოს **ეროვნულ ფულად** ერთეულებში(ლარი).

გამომდინარე იქედან, რომ ყოველი ხარჯი წინასწარ არის განსაზღვრული სამინისტროსგან დამტკიცებული ბიუჯეტის მიერ, ღონისძიების დამთავრებისათვის რაიმე სახის სავაჭრო ვალდებულებები განულებულია.

ასევე, ვინაიდან რაიმე სახის მომსახურეობას არ ვეწვეით - არ არსებობს სავაჭრო მოთხოვნებიც.

შესაბამისად, უიშვიათესი შემთხვევის გარდა (ერთხელ გაიყიდა ძველისძველი ავტომანქანა და იმის წინ კი მწყობრიდან გამოსული ინვენტარი, ისიც წინა წლებში) არ არსებობს რაიმე ამონაგები, არც რეალიზაცია.

სესხი ფედერაცია ერთადერთხელ ჰქონდა, საქართველოში საერთაშორისო ღონისძიების გასამართად და წინა წლებში. (51 000 ლარი)

ძირითად საშუალებაში ფედერაცია არ ფლობს რაიმე სახის შენობა-ნაგებობებს. მისი ძირითადი საშუალებებია 1 ავტომანქანა და საოფისე აღჭურვილობა.

არამატერიალური აქტივები ფედერაციას არ გააჩნია.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში შედის მხოლოდ ვარჯიშებისათვის განკუთვნილი სპორტული აქსესუარები.

გამომდინარე იქედან, რომ ფედერაცია არის არაკომერციული ორგანიზაცია და არავითარი შემოსავალი არა აქვს, მოგების გადასახადს, ისევე როგორც ქონების გადასახადს, ფედერაცია არ იხდის.

პრეზიდენტი

თ. გეგეშიძე



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	605 615.00	403 614.00	637 741.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	-
მარაგები	-	-	-
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	96 934.00	40 973.00	16 787.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	702 549.00	444 587.00	654 528.00

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	605 615.00	403 614.00	637 741.00
სულ ვალდებულებები	605 615.00	403 614.00	637 741.00

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	96 934.00	40 973.00	16 787.00
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	96 934.00	40 973.00	16 787.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	702 549.00	444 587.00	654 528.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	605 615.00	403 614.00	637 741.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	-	-
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-	-
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8 487 933.00	7 675 404.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 403 602.00	- 358 882.00
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 7 865 315.00	- 7 388 025.00
სულ საოპერაციო ხარჯები	219 016.00	- 71 503.00
საოპერაციო მოგება	219 016.00	- 71 503.00

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	- 163 055.00	95 689.00
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	55 961.00	24 186.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	55 961.00	24 186.00

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	55 961.00	24 186.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	40 973.00	16 787.00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	96 934.00	40 973.00

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	202 001.00	- 234 127.00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	202 001.00	- 234 127.00
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	403 614.00	637 741.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	605 615.00	403 614.00